# მოსწავლეთა საბჭოს დებულება

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. მოსწავლეთა საბჭო არის სკოლის სტრუქტურული ერთეული, იგი არჩეული ორგანოა.
2. მოსწავლეთა საბჭო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეთა საბჭოს ახალი არჩევნების ჩატარებამდე;
3.მოსწავლეთა საბჭო დაკომპლექტებულია სკოლის მოსწავლეებისაგან.
4. მოსწავლეთა საბჭო ვალდებულია, თავისი საქმიანობა წარმართოს ამ დებულების საფუძველზე.

## მუხლი 2. მოსწავლეთა საბჭოს შემადგენელობა და მიზნები

1.მოსწავლეთა საბჭოს ძირითადი მიზანია სკოლის ფუნქციონირების, მისი განვითარების ხელშეწყობა, სასკოლო ცხორებაში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა, სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა.
2. მოსწავლეთა საბჭოს წევრები არიან სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეები, თითო კლასიდან თითო წარმომადგენელი.

## მუხლი 3. მოსწავლეთა საბჭოს ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1.მოსწავლეთა საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იცავს და წარმოადგენს მოსწავლეების უფლებებს, მათ კანონიერ ინტერესებსა და ინიციატივებს.
2.მოსწავლეთა საბჭოს ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:
ა) მოსწავლის მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების, ინტერესების გაცნობიერებაში ხელშეწყობა.
ბ) მოსწავლეების ინტესების შესაბამისად, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობის ორგანიზება, სასკოლო კლუბების შექმნა და სკოლის მოსწავლეთა სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართვა და ა.შ.
გ) სკოლის მოსწავლეების გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.
დ) სკოლაში მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის ხელშეწყობა.
3.მოსწავლეთა საბჭო დასახული ამოცანების მისაღწევად ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:
ა) მოსწავლეთა საბჭოს წევრთაგან იღებს და ამუშავებს ინფორმაციას მოსწავლეთა ინიციატივებთან და ინტერესებთან დაკავშირებით.

ბ) შეიმუშავებს და სკოლის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცესების მენეჯერთან თანამშრომლობით დირექტორს წარუდგენს მნიშვნელოვან მოსაზრებებს სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით;

გ) დირექტორის მხარდაჭერის შემთხვევაში, გეგმავს სკოლაში სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, სასწავლო, სპორტულ/კულტურულ ღონისძიებებს, პროექტებს.

დ) საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლობს სხვა საგანმანათლებლო, სასწავლო და სპორტულ/კულტურულ დაწესებულებებთან;

ე) ორგანიზებას უწევს სასკოლო კლუბების ფუნქციონირებას;

ვ) პროფესიული ორიენტაციის კლუბის დებულების შესაბამისად, მართავს პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის კლუბის შექმნის პროცესს და, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება კლუბის წევრებს დასახული მიზნების მიღწევაში.

**მუხლი 4. მოსწავლეთა საბჭოს დაფინანსების წყაროები:**

1. მოსწავლეთა საბჭოს საქმიანობის დაფინანსების წყაროა სკოლის დირექციასთან შეთანხმებული ბიუჯეტი;

**მუხლი 5. მოსწავლეთა საბჭოს წევრთა და საბჭოს პრეზიდენტის არჩევის წესი**

1.V-VI კლასებისა და საბაზო და საშუალო საფეხურების ყველა კლასის მოსწავლეები საკუთარი კლასიდან ერთ წარმომადგენელს ირჩევენ მოსწავლეთა საბჭოში, ხმათა უმრავლესობით.

2.ერთნაირი ხმების მიღების შემთხვევაში ტარდება მეორე ტური.

3. მეორე ტურში ერთნაირი ხმების მიღების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება უფრო მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე კანდიდატს.

4.თითოეულ კლასში არჩევნების შედეგები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კლასის მოსწავლეები და სკოლის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცესების მენეჯერი.

5. მოსწავლეთა საბჭოს წევრები საკუთარი შემადგენლობიდან ხმის უმრავლესობით ირჩევენ მოსწავლეთა საბჭოს პრეზიდენტს, საბჭოს წევრთა არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 1 კვირის ვადაში.

6.მოსწავლეთა საბჭოს წევრთა და საბჭოს პრეზიდენტის არჩევნები ტარდება თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

7. მოსწავლეთა საბჭოს პრეზიდენტად არ შეიძლება პირი აირჩეს ზედიზედ ორჯერ.

8.მოსწავლეთა საბჭოს არჩევნებს და საბჭოს მუშაობას კოორდინაციას უწევს სკოლის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცესების მენეჯერი.

9.მოსწავლეთა საბჭოს წევრთა და პრეზიდენტის არჩევნები ტარდება სწავლის დაწყებიდან 1 თვის განმავლობაში. არჩევნების თარიღი დგინდება სკოლის დირექტორის მიერ ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით.

**მუხლი 6. მოსწავლეთა საბჭოს პრეზიდენტის ფუნქციები**

1.მოსწავლეთა საბჭოს პრეზიდენტის მოვალეობებია:

ა) ორგანიზება გაუწიოს მოსწავლეთა საბჭოს შეხვედრებს; წინასწარ შეატყობინოს ყველა დაინტერესებულ და ჩართულ მხარეს მოსწავლეთა საბჭოს შეხვედრის ადგილი, დრო და განსახილველი საკითხი.

ბ) წარმოადგინოს მოსწავლეთა საბჭო სკოლის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცესების მენეჯერთან ურთიერთობაში;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები.

**მუხლი 7. მოსწავლეთა საბჭოს წევრისა და საბჭოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი**

1. მოსწავლეთა საბჭოს წევრისა და საბჭოს პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) მოსწავლის სტატუსის შეჩერება/ სკოლიდან ამორიცხვა/ სწავლის დასრულება;

გ) სკოლის შინაგანაწესის ან წინამდებარე დებულების წესების დარღვევა;

დ) არასაპატიო მიზეზით 2 თვის განმავლობაში მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა;

ე) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, გარდაცვლილად ან უგზოუკვლოდ დაკარგულად გამოცხადება;

ვ) სხვა ობიექტური გარემოება.

2. მოსწავლეთა საბჭოს წევრთა და საბჭოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, შესაბამისი კლასის მოსწავლეები მოსწავლეთა საბჭოში ირჩევენ სხვა წარმომადგენელს, ხოლო მოსწავლეთა საბჭოს წევრები დარჩენილი წევრებიდან- პრეზიდენტს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

**მუხლი 8. მოსწავლეთა საბჭოს მუშაობის წესი დარეგლამენტი**

1. მოსწავლეთა საბჭოს პირველი შეხვედრა იმართება მოსწავლეთა საბჭოს არჩევიდან 7 დღის ვადაში, ხოლო შემდგომ - მოსწავლეთა საბჭოს პრეზიდენტის მიერ საჭიროების შემთხვევაში.

2. მოსწავლეთა საბჭოს პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში, სხდომას წარმართავს ხმათა უმრავლესობით არჩეული პირი.

3. მოსწავლეთა საბჭოში გაერთიანებული კლასების მოსწავლეები ვალდებულნი არიან საკუთარი ინიციატივებისა და სურვილების შესახებ აცნობონ კლასის მოსწავლეთა

საბჭოს წევრს.

4. მოსწავლეთა საბჭოს წევრი ვალდებულია კლასთან ერთად განიხილოს აღნიშნული ინიციატივა ან დასაბუთებულად და არგუმენტირებულად უარი უთხრას ინიციატივის განხილვაზე.

5. კლასში განხილვისა და შეთანხმების შემდგომ მოსწავლეთა საბჭოს წევრი გადაწყვეტილების/ინიციატივის შესახებ აცნობებს სკოლის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცესების მენეჯერს.

6. საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცესების მენეჯერი ურჩევს ინიციატივის ავტორს საკითხი განიხილონ მოსწავლეთა საბჭოზე და ისე წარმოადგინონ სკოლის წინაშე.

7. ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცესების მენეჯერი უფლებამოსილია, წარმოდგენილი ინიციატივა მოსწავლეთა საბჭოზე განხილვის გარეშე წარადგინოს სკოლის დირექტორთან.

8. მოსწავლეთა საბჭოს მუშაობა ფორმდება ოქმებით/ანგარიშებით, რომლებსაც ხელს აწერენ საბჭოს პრეზიდენტი და სკოლის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცესების მენეჯერი.

**მუხლი 9. დებულების დამტკიცება და ცვლილებების შეტანა**

1. მოსწავლეთა საბჭოს დებულებას ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის უფლებამოსილება აქვს სკოლის დირექტორს, ცვლილებებისა და დამატების შეტანის ინიციატორი შესაძლებელია იყოს მოსწავლეთა საბჭოც.